

## ვახტანგ მალრაძე

### რამდენიმე სტილისტიკური დარღვევის შესახებ

ყოველ სალიტერატურო ენაში, მათ შორის ქართულშიც, აზრის ზუსტად გამოსახატავად საჭიროა სიტყვების ზედმიწევნით შერჩევა, რომ უფრო ნათელი, გასაგები და მისაწვდომი გახადოს გადმოსაცემი აზრი, არ შექმნას ორაზროვნება, უაზრო შესიტყვებები, ან კონტექსტთან შეუსაბამო ცალკეული სიტყვებით არ გამოიწვიოს სტილისტიკური გაუმართაობა.

ზოგჯერ ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა სწორად არ ესმით ან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, უფრო ზუსტად, დაუდევრობას იჩენენ ამა თუ იმ სიტყვისა თუ შესიტყვების ხმარებისას, რაც ხან სასაცილო, ხან კი გაუგებარ, უხერხულ სიტუაციას ქმნის. განვიხილოთ ჩამოთვლილთგან რამდენიმე ასეთი შემთხვევა:

#### 1. მეჯვარე მძლოლა?!

ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ:

[ბრედ პიტმა ანჯელინა ჯოლისთან] ...საქორწინო ცერემონიალის დეტალები გაანდო და გაი რიხს ქორწილში **მძლოლა** შესთავაზა („სარკე“ №9 2006: 51).

დავიწყოთ იმით, რომ ამ ფრაზის დამწერს, ჟურნალისტსა თუ მთარგმნელს სულ მცირე, დაკვირვება და ანალიზის უნარი სჭირდებოდა, რომ მიმხვდრიყო: ბრედ პიტი ანჯელინა ჯოლისთან ჯვრისწერისას (ცნობილი ამერიკელი მსახიობები) გაი რიხს (ასევე ცნობილ ინგლისელ რეჟისორს), მანქანის მართვას, წაყვანას, **მძლოლბას** არავითარ შემთხვევაში არ შესთავაზებდა (არ აკადრებდა). როგორც ჩანს, სტატიის ავტორმა რუსული საიტოდან თარგმნისას სიტყვა шафёр გააიგივა шофёр-თან, ანუ ერთმანეთში აურია. როგორც ცნობილია, шафёр მეჯვარეს, ხელისმომკიდეს, ეჯობს ნიშნავს, ხოლო шофёр – შოფერს, მძლოლს (რქლ 1983). როგორც მოსალოდნელი იყო (და ეს ფაქტი სხვა წყაროები-

დან გახდა ცნობილი), აღნიშნული კინოვარსკვლავების ქორწილში გაი რიჩი, მართლაც, მეჯვარედ იყო მიწვეული (და არა მძღოლად). ამკარაა, რომ ეს შემთხვევა, რომელიც, ერთი შეხედვით, დაუკვირვებლობად შეიძლება კაცს მოსჩვენებოდა, არასათანადო ცოდნის უტყუარი ნიმუშია. მორიგ შემთხვევაში კი ჟურნალისტს თავი თარგმნით არც კი შეუწუხებია და პირდაპირ გადმოუტანია უცხოური მეჯვარე, თუმცა თავი დაუზღვევია და ბრჭყალებში მაინც მოუქცევია:

...პრინცმა უილიამმა მოახლოებული საქორწინო ცერემონიისათვის „შაფერი“ შეარჩია („თბილისელები“ №8 2011: 11).

არადა ამის საჭიროებას ენა ნამდვილად არ განიცდიდა, რადგანაც გვაქვს მშვენიერი სიტყვები: მეჯვარე, ხელისმომკიდე, ეჯიბი და უცხოური სიტყვის ჩანაცვლება ზედმეტი იყო.

## 2. ერთჯერადი საკვები?!

კაცობრიობა ვითარდება, ინერგება მრავალი ახალი ტექნოლოგია, რაც ხელს უწყობს ადამიანისათვის დროის გამოთავისუფლებასა და დაზოგვას. ცდილობენ, რაც შეიძლება გააიოლონ ყოფითი ცხოვრება. სწორედ ამიტომაც შეიქმნა **ერთჯერადი** მოხმარების სხვადასხვა სახის საქონელიც. ახალი ტერმინოლოგიის შემუშავებამ კი მოგვცა უცნაური შესიტყვება **ერთჯერადი წვნიანი (სუპი)**: ექთანმა მუყაოს ჭიქაში გამზადებული **ერთჯერადი წვნიანი** პროფესორის კაბინეტში შეიტანა („სარკე“ №41 2007: 76). შესანიშნავი გამოგონებაა ეს **ერთჯერადი სუპები** (იქვე: გვ. 77). ერთჯერადი ნიშნავს – რაც ერთხელ ხდება, ერთგზის, ერთხელ გამოსაღებია (ქეგლ 1986). მას უპირისპირდება **მრავალჯერადი, მრავალგზისი**. საინტერესოა, როგორ შეიძლება საკვების არაერთჯერადად გამოყენება. კერძი (კონკრეტულად სუპი, წვნიანი) შესაძლებელია მომზადდეს ცოტა და უცებ შეიჭამოს, ან ბევრი და რამდენიმე ადამიანმა, ან თუნდაც ერთმა რამდენიმე ულუფად, არჩივად მიირთვას. ერთჯერადი არსებობს ხელსაწმენდი, ცხვირსახოცი, ხელთათმანი, საფენი, ზოგჯერ საპარსი, ნემსი, თეფში, ჩანგალი, კოვზი, ჭიქა... ტანსაცმელიც კი, რაც გათვალისწინებულია, რომ გამოყენების შემდეგ უნდა გადაიყაროს, მაგრამ **წვნიანი, სუპი?** განა შესაძლებელია მისი არაერთჯერადად, ხელ-

მეორედ ხმარება? როგორც ვხედავთ, სრულიად შეუფერებელია ამ სიტყვის დაწვეილება წვნიანსა და სუპთან.

საკვები (სუპი... სასმელი) არსებობს მოსამზადებელი, ნახევარფაბრიკატი ან სულაც მზა. ბუნებრივია, აღნიშნულ შემთხვევებში ნაგულისხმევია **სწრაფად, ადვილად გასაკეთებელი, მოსამზადებელი** მასალა (ამჯერად წვნიანი) და არა ერთჯერადად მოსახმარი<sup>1</sup>.

იშვიათად მართებულ მაგალითსაც ვხვდებით, სადაც სწორედ ამგვარი შინაარსითაა გააზრებული:

ვჭამდით... **სწრაფად მოსამზადებელ** სუპებს („სარკე“ №27 2011: 43).

ასე დაინერგა ჩაის „ერთჯერადი“ პაკეტები („რეიტ.“ №43 2012: 13). ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევებშიც თავის ადგილასაა გამოყენებული სიტყვა **ერთჯერადი**:

ახლა ამბობენ, მშენებლობა გაადვილებულია... ეს **ერთჯერადი** მოხმარების საგანი არ არის („სარკე“ №38 2011: 15).

ბევრ შემთხვევაში... ეს კავშირი **ერთჯერადია**... (იქვე №45 2011: 67).

სახლში ქუჩიდან **ერთჯერადი** ქალები აჰყავთ... (იქვე №14 2010: 34). ...დამირეკეს და **ერთჯერადად** გადაცემაში ამ სიმღერის შესრულება მთხოვეს („რეიტ.“ №51 2012: 3). თუ ამ კუთხით შევაჯამებთ, **ერთჯერადი** ერთიანობის კვალობაზე საკმაოდ კარგი შედეგია... (იქვე №26 2013: 29).

ბუნებრივია, ნაგებობა, სახლი ერთხელ (ერთჯერადად) სახმარად არაა გაანგარიშებული – ის მრავალი წლისთვისაა გათვლილი. ასევე გადაცემა, კავშირი შეიძლება იყოს დროებითი, ანუ ერთჯერადი და მრავალჯერადი, მრავალგზისი, ხანგრძლივი. შემდეგ შესიტყვებაში – **ერთჯერადი ქალები** არა ხანგრძლივი

---

<sup>1</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ერთჯერადში** ნაგულისხმევია ერთხელ, ანუ ერთ ჯერზე გამოყენება და შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვა **ერთჯერადში** სწორედ ეს ფუძე – **ჯერ** იხმარება. ერთჯერადი პაკეტები (ჩაის, ყავის, სუპისა და ა.შ.) ერთ ჯერზე, ერთ პორცია სასმელ-საჭმელს გულისხმობს. მაგრამ არის პაკეტები, რომელთა შემადგენლობა არა ერთ ულუფას მოიცავს, არამედ 4-5 ადამიანზეა გათვალისწინებული.

ურთიერთობა, არამედ შემთხვევითი, ერთხელ შეხვედრაა ნაგულისხმევი.

### 3. ბატების ხროვა?!

ქართული მრავალსაუკუნოვანი დამწერლობის მქონე ენას წარმოადგენს. ბუნებრივია, ხანგრძლივი დროის მანძილზე ენა იხვეწება, მოქნილობას, სისხარტესა და კონკრეტულობას იძენს. ქართულ ენას აქვს მრავალფეროვანი, მდიდარი გამომსახველობის საშუალება, რომლის ცოდნა და გამოყენებაც აუცილებელია ყოველი განათლებული (ან, ყოველ შემთხვევაში, განათლებულობის პრეტენზიის მქონე) ადამიანისათვის. ცნობილია, რომ ცალკეული კრებითი სახელის აღსანიშნავად იხმარება კონკრეტულად მათთვის განკუთვნილი სიტყვა. ასეთებია: **ჯოჯი** ან **ნახირი** (მსხვილფეხა რქოსანი საქონლისათვის: ძროხა, ხარი, კამეჩი); **რემა** (=ცხენები, ირმები), **კოლტი** (=ღორები), **ფარა** (=ცხვრები), **გუნდი** (=ფრინველები), **ხროვა** (=მგლები, ძაღლები)... თუმცა კი... **ბატების ხროვა** აფრინდა ცაში („რუსთავი 2“, 17.07. 2008). ფრინველთა ერთობლიობას სწორედ **გუნდი** მიესადაგება და არა **ხროვა**, რომელიც ნადირის მისანიშნებლადაა ენაში დამკვიდრებული. ამდენად, ამ სემანტიკური ჯგუფის ერთმანეთში არევა და ნებისმიერად გამოყენება უხერხულია და ყოველად გაუმართლებლად გვეჩვენება.

### 4. ტაბაკა წიწილა თუ ვარიკა?!

საუბრული ენიდან და დიალექტური მეტყველებიდან ენაში შემოაღწია და დამკვიდრებას ცდილობს **წიწილა**, რა თქმა უნდა, შეუსაბამო მნიშვნელობით. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **წიწილა** არის: 1. ახლად გამოჩეკილი ქათამი (ვარიობამდე), 2. საუბრ. იგივეა, რაც ვარია (ქეგლ 1986). სულხან-საბა **ქათმის მართვედ** მოიხსენიებს. ხოლო ზოგადად ყოველთა ფრინველთა შვილთ მართვი ეწოდება, მწერით ვიდრე ორბამდე (საბა 1993). ამდენად, **წიწილა**, **წიწილი** (მას კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს, რაც ჩვენთვის ამჯერად საინტერესო არაა) არის ახლად გამოჩეკილი ფრინველი – ქათამი (ვარიობამდე). ამ სიტყვის არასწორად ხმარების შემთხვევებს არცთუ იშვიათად

ვაწყდებით პრესის ფურცლებზე, ორიგინალურ თუ თარგმნილ ლიტერატურაში.

ჩემი კვება სციპიოს დაავალა – საუზმედ ჩაი, ტოსტები და შემწვარი **წიწილი** მიართვიო (ტატ. 1978: 67). ქოთანში ჩაშუშული **წიწილა** არ გინდა? („იმედი“). კერძი სატაცურიანი კიბორჩხალეებისა და კონიაკის სოუსში ჩაწყობილი **წიწილებისაგან** შედგებოდა („TV პრ.“ №22 2008: 22). კონდოლიზა რაისის საყვარელი კერძებია... შემწვარი **წიწილა** ბრინჯით („თბილისელები“ №13 2005: 21). კარგ ცხელ ხაჭაპურს, ხინკალს.. ტყემალს, **წიწილას** რა შეიძლება შეადაროს კაცმა? („სარკე“ №26 2011: 45). ...მჭადი ყველი, **წიწილა**... სხვა რა უნდა ინატროს კაცმა (იქვე №41 2011: 40). იქნებ მოვახერხო და შემწვარი **წიწილი** მავლის წვენში გაგასინჯოთ-მეთქი (იქვე №30 2008: 16). იცით... მაგარი რა არის? დიასახლისი **წიწილას** რომ დაგიკლავს და შენ თვალწინ გაპუტავს... (იქვე №38 2011: 43).

ყველა ამ შემთხვევაში სტილისტიკურად გამართული ქართულით უნდა ეხმარათ **ვარია**, **ვარიკა**, რადგან ახლად გამოჩეკილ ფრინველს შესაწევად (ტაბაკად) და საკვებად არ იყენებენ. ტაბაკას განმარტებაა ბრტყლად შემწვარი **ვარია** (ქეგლ).

ახლა ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს **ვარია**: ვარია არის ზრდადასრულებული ქათამი (კვერცხის დებამდე) (ქეგლ); ესე არს ქათმის დიდი წიწილი (საბა 1993); ნ. ჩუბინაშვილი უფრო ვრცლად განმარტავს: მოზრდილი მართვე შინაურთა მფრინველთა: ქათამთა, ინდოურთა, ბატთა და მისთანათა (ჩუბინ. 1961); ალ. ნეიმანს **ვარიის** სინონიმებად დასახელებული აქვს: **ვარიკა** (სადედლე), **ყვინჩილა** (სამამლე) (ნეიმანი 1978). როგორც განმარტებებიდან ვხედავთ, სწორედ **ვარია** უნდა გამოიყენებოდეს საკვებად. ვხვდებით მართებულ ვარიანტებსაც ხალხურ პოეზიაში, მხატვრულ ლიტერატურასა და პრესაში:

ხაჭაპურსაც გამოგიცხოზ ცარიელსა ქერქსაო, / **ვარიასაც** ქე დაგიკლავ, ცარიელსა ძვლებსაო (ხალხური სიმღერა). ჩაიმ ძალა შემმატა, მშვენივრად შემწვარი **ვარია** და ბრინჯი... შევჭამე (ტატ. 1978: 71). ...სამზარეულოში წავიდა ჩაის, ტოსტებისა და **ვარიის** მოსატანად (იქვე: 69). ოფიციალტმა შემწვარი **ვარია** მოგვიტანა (ჩხეტ. 2007: 89). ზოგადად, **ვარიის** ხორცი მირჩევნია

**ქათმის** ხორცს („თბილისელები“ №41 2008: 24). მისი საყვარელი კერძია შემწვარი **ქათამი**... („სარკე“ №24 2008: 21).

ამ გამართული წინადადებებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვებად დასახელებულია არა **წიწილი** თუ **წიწილა**, არამედ **ვარია** და **ქათამი** (რომლებსაც ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში კარგად გამიჯნავს, გაარჩევს, განასხვავებს დაკვირვებული ადამიანი). **წიწილის** ხმარება **ვარიის** ნაცვლად აშკარად დიალექტური ფენისა და სასაუბრო მეტყველების წარმონაქმნია, რომელიც უმართებულოდ ცდილობს სალიტერატურო ენაში ფეხის მოკიდებას. თუმცა, როდესაც მწერალი გამიზნულად, პერსონაჟის კოლორიტის გამოსაძერწად, მისი ინდივიდუალობის წარმოსაჩენად იყენებს დიალექტურ თუ სასაუბრო ფორმას, დასაშვებია და მეტ გამომსახველობას სძენს გმირს (ამ შემთხვევაში რესტორნის ოფიციანტის სახეს):

– ბატკნის მწვადი, ხბოს მწვადი, შემწვარი **წიწილი** არ გნებავთ? (დუმბ. 1978). – ბატკნის და ხბოს მწვადი გათავებულა, **წიწილი** ინკუბატორისაა... (იქვე).

## 5. ავტოგასამართი თუ ბენზინგასამართი სადგური?

ენა ცოცხალი ორგანიზმია და, ბუნებრივია, სისტემატურად ვითარდება. სხვადასხვა სფეროში მიღწეული აღმოჩენები ენაშიც აისახება და ივსება ახალ-ახალი ტერმინებით, სინტაგმებითა და სიტყვა-გამოთქმებით. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მექანიკურად, სხვა ენის წამხედურობითა თუ მიბადვით, საკუთარი ენის დანაგვიანების ხარჯზე. რუსული ენის გავლენით ქართულში ხშირად არასწორად გამოიყენება კომპოზიტი **ბენზინგასამართი**:

აღმაშენებელზე, პეკინზე და **ბენზოგასამართ**<sup>1</sup> სადგურებზე ბევრი ლაითბოქსი ჩემი გაკეთებულია („ელიტ. ქრონ.“ №5 2005: 26). **ბენზინგასამართი** ჩაიდანია [ავტოგასამართი სადგური ჩაიდანის ფორმის შენობაა] („რეიტ.“ №39 2007: 50). ...ლისაბონში ბრაზი-

---

<sup>1</sup> ცალკე მსჯელობის საგანია **ბენზოგასამართი**. რატომ უნდა იყოს ქართულ სიტყვაში რუსულ კომპოზიტთა შემაკავშირებელი **ო** ხმოვანი, ან კიდევ: რატომ არის კომპოზიტის პირველი ნაწილის ფუძე (**ბენზინი**) შეკუმშული ფორმით და არა სრული ფუძით წარმოდგენილი.

ლიელი ტურისტებით სავსე ავტობუსი **ბენზინგასამართ** სადგურის მახლობლად დააყენეს („თბილისელები“ №11 2008: 59). ტრასაზე არსებობს **ბენზინგასამართ** სადგურები (იქვე №3 2009: 77). აქაცაა სუპერმარკეტები, კარგი **ბენზინგასამართ** სადგურები... („სარკე“ №49 2009: 54). ქუთაისის შემოსასვლელში გავაჩერე **ბენზინგასამართ** სადგურში... (იქვე №37 2009: 40).

ბენზინს, ბუნებრივია, არანაირი გამართვა არ სჭირდება. გამართვა უნდა ავტომობილს, ანუ ბენზინით (გაზით, დიზელის საწვავით) შევსება ან რაიმე ტექნიკური დახმარება (ძირითადად საწვავით მომარაგების გარდა იქვეა სხვა სახის მომსახურებაც). ზოგიერთი მანქანა დიზელის ძრავით მუშაობს. მაშინ ხომ არ უნდა შემოვიღოთ **დიზელგასამართ** სადგურიც? აი, გაზის საწვავზე მომუშავე მანქანებისათვის უკვე ხმარობენ **გაზგასამართ** სადგურს:

ძალი **გაზგასამართ** სადგურზე მუშაობს („სარკე“ №49: 52). ...ყავისფერი ლაბრადორი უკვე 5 თვეა **გაზგასამართ** სადგურზე მუშაობს (იქვე).

მიუხედავად ამგვარი გაუმართლებელი და ენობრივად გაუმართავი შესიტყვებების მოძალებისა, მართებულ ფორმებსაც შევხვდებით, თანაც ზოგჯერ იმავე ორგანოში:

მის მახლობლად **ავტოგასამართი** სადგური იყო („იდ. სამყ.“ №23 2007: 4). ამ საუბარში იყვნენ, როცა „მარშრუტკა“ **ავტოგასამართ** სადგურთან... გაჩერდა... („რეიტ.“ №40 2010: 19). **ავტოგასამართი** სადგური (იქვე №39 2007: 93). – ჩავასხათ, აი, **ავტოგასამართი** სადგური (იქვე №3 2010: 23). ჩვენთან ევროკავშირის დონეზე ერთ-ერთი საუკეთესო **ავტოგასამართი** სადგურების სტრუქტურაა („თბილისელები“ №12 2011: 8). ...ხშირად გამოიმუშავენ ხან **ავტოგასამართ** სადგურზე და ხან ყავის დამტარებლის ამპლუაში („სარკე“ №7 2010: 2).

თუ მაინცდამაინც ყურადღების მიქცევა თავად ბენზინზე სურთ, მშვენიერი კომპოზიტია შედგენილი – **ბენზინჩასასხმელი**. ამ სიტყვას დანიშნულებისამებრ იყენებენ კიდევ:

...ქვეყნის ელიტამ... უკვე დაათვალიერა... **ბენზინჩასასხმელი** ობიექტის მშენებლობა („თბილისელები“ №24 2011: 5).

## 6. პაექრობა სპორტული, სახელმწიფოებრივი?!

აქაც სიტყვათა არასწორი შეხამება გვაქვს. ჯერ ვნახოთ, თუ რას ნიშნავს სიტყვა პაექრობა და რასთან შეიძლება მისი ტრადიციულად დაწყვილება. ალ. ნეიმანის „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონში“ **პაექრობა** წარმოდგენილია ორ ერთეულად, ერთმანეთზე მითითებით: – ნ. 1. პაექრობა – **დავა**, 2. პაექრობა – ნ. **კამათი**. განვიხილოთ თითოეული ბუდე: დავა – შედავება, დავიდარაბა, კამათი, განხეთქილება, ცილობა, შელაპარაკება, პაექრობა, უთანხმოება, შეცილება, სიტყვიერი შებმა, აზრთა სხვაობა, აზრთა სხვადასხვაობა, აზრთა წინააღმდეგობა, ღალადისი, ბაასი, აზრთა ჭიდილი. 2. დავა – ნ. ჩხუბი. ხოლო კამათის სინონიმებად დასახელებულია: 1. კამათი – ნ. დავა. 2. კამათი – პაექრობა, გაბაასება.

როგორც სიტყვა **პაექრობის** მნიშვნელობა გვიჩვენებს, ეს სიტყვა „დავას“, „კამათს“ ნიშნავს, ანუ აზრთა და, აქედან გამომდინარე, სიტყვიერ ჭიდილს გამოხატავს, ამდენად, სრულიად შეუფრებელია მისი ხმარება ფიზიკური შერკინების კონტექსტისათვის.

თუ მაინცდამაინც, ჭადრაკისათვის შეიძლებოდა გამოგვედგომოდა, რადგან ეს სახეობა 2 პირის, ინდივიდის ჭკუა-გონების მდუმარე ჭიდილს ასახავს, გონებისმიერ, ინტელექტუალურ თამაშობას გულისხმობს. სპორტულ ღონისძიებას, საფეხბურთო მატჩებს არცერთი ეს განმარტება არ მიესადაგება, თუმცა სპორტულ ინფორმაციებში ძალიან აქტიურად ხმარობენ:

ახლა მათი მიზანი ჯგუფურ ეტაპზე ევროპის უძლიერეს კლუბებთან **პაექრობაში** შედეგიანობის გამოჩენაა („მსოფ. სოპრტი“ № 268 2007: 12); მე მშურს კარგი შურით<sup>1</sup> ქუთაისელი გულშემატკივრებისა, რომელთაც ექნებათ უფლება<sup>2</sup>, იყონ მონაწილე საინტერესო

---

<sup>1</sup> გარდა ამისა, ამ შემთხვევაში არ ვარგა შესიტყვება **კარგი შური**. საბას განმარტებით – შური არის მწუხარება სხვისა კეთილთა ზედა. თუ მაინცდამაინც **შურზეა** ყურადღება გამახვილებული, აჯობებდა **ნატვრა**, რომელიც დადებითი ემოციის მატარებელია. სასურველი იქნება, თუ **კარგი შურის** ნაცვლად ფეხს მოიკიდებდა და დამკვიდრდებოდა **თეთრი შური**, რაც სურვილს, შენატვრას გამოხატავს, ვიდრე შურს.

<sup>2</sup> ამ წინადადებაში კიდევ ერთი აზრობრივი შეუსაბამობაა: **ექნებათ უფლება**. რა შუაშია აქ უფლება? ბუნებრივია, ფეხბურთის მატჩზე



თამაშისა, **პაექრობისა** („რადიო I“ 20.03. 1999, 12.45).

როგორც სიტყვის განმარტებიდან დავინახეთ, პაექრობა ორივე წინადადებაში უადგილოდაა გამოყენებული, არცერთი მნიშვნელობა არ მიესადაგება აღნიშნულ კონტექსტს. მის ნაცვლად თავისუფლად შეგვეძლო გვეხმარა შეჯიბრება, ბრძოლა.

ამდენად, სპორტული ორთაბრძოლის, შერკინების, თამაშის აღსანიშნავად **პაექრობა** დასაშვებია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ ის ინტელექტუალურ, მხოლოდ გონებრივ ბრძოლას ეხება, მაგ.: ჭადრაკს, შაშს, თუნდაც ნადრს – და არა ფიზიკურ, ძალისმიერ შეჯიბრებას.

რაც შეეხება შემდეგ წინადადებას, აქ **პაექრობის** გამოყენება სრული უაზრობაა:

...შეადგინეთ ცხრილი ირან-ოსმალეთის **პექრობის** შესახებ საქართველოში (ანთ. 2003: 207).

როგორც ტექსტიდან ირკვევა, **ეს პაექრობა** ირანისა და ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ცხრილის შედგენას შეეხება პერიოდების (საუკუნეების) მიხედვით. ვფიქრობთ, კომენტარი სრულიად ზედმეტია.

წინადადების გასამართავად, სიტყვებისა თუ სინტაგმების შერჩევასა უხერხული ფრაზების თავიდან ასაცილებლად საჭიროა პატივი ვცეთ მშობლიურ ენას, მეტი ყურადღება, დაკვირვება და პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ.

## ლიტერატურა

**ანთ.**, – ვ. ანთაძე, ახალი ისტორია, მე-8 კლასის სახელმძღვანელო, 2003, თბილისი.

**დუმბ.** – ნ. დუმბაძე, „მარადისობის კანონი“, 1978, თბილისი.

**„ელ. ქონ.“** – ჟურნ. „ელიტარული ქრონიკა, №5, 2005“, თბილისი.

---

დასწრების უფლება ნებისმიერ გულშემატკივარს, არაქუთაისელსაც, აქვს (მთავარია სურვილი და შესაბამისი, დასასწრები ბილეთის ქონა).

**„თბილისელები“** – ჟურნ. „თბილისელები“, №41, 2008; №8, №12, №24, 2011, თბილისი.

**„იმედი“** – ტელეკომპანია „იმედი“.

**„მსოფ. სპორტი“** – ჟურნ. „მსოფლიო სპორტი“, №268, 2007, თილისი.

**ნეიმანი** – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, 1978, თბილისი.

**„რადიო I“** – საზოგადოებრივი მაუწყებელი, რადიოს I არხი.

**„რეიტ.“** – ჟურნ. „რეიტინგი“, №39, 2007; №3, №40, 2010; №43, №51, 2012; №26, 2013, თბილისი.

**„რუსთავი-2“** – ტელეკომპანია „რუსთავი -2“ .

**რქლ** – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ერთტომეული, 1983, თბილისი.

**საბა** – სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, 1993, თბილისი.

**„სარკე“** – ჟურნ. „სარკე“, №9, №47, 2006; №41, 2007; №24, 2008; №7, №14, 2010; №27, №38, №41, №45, №47, 2011, თბილისი.

**ტატ.** – ვ. ტატიშვილი, თარგმანი, მაინ რიდი, ტ. 8, 1978, თბილისი.

**„ტვ პრ“** – გაზ. „TV პრ.“, №22, 2007, თბილისი.

**ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1986, თბილისი.

**ჩუბინ.** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1961, თბილისი.

**ჩხეტ.** – გ. ჩხეტანი, თარგმანი, „სუვენირი „სამი მუშკეტერიდან“, „სარკე“, №51, 2007, თბილისი.